

- **რაშია საქმე**

საქმე იმაშია, რომ საქართველოს მოსახლეობის 88%-ს კი აინტერესებს ფეხბურთი, მაგრამ ქართველი გულშემატკივარი ამჟობენებს უყუროს უცხოური ჩემპიონატების არც ისე მაღალი დონის მატჩებს, ვიდრე დაესწროს იმავე დონის მატჩებს ქართულ კლუბებს შორის. კაცმა არ იცის, რატომ.

- **სიტუაცია და რამე**

ქართველი გულშემატკივრების მცირე ნაწილი არის გაერთიანებული ქართული საფეხბურთო კლუბების ფანკლუბებში და შესაბამისად, ისინი რეგულარულად ესწრებიან საფეხბურთო კლუბების თამაშს. ასევე, საქართველოს რეგიონებში შიდა თამაშები ატარებს ემოციური დაპირისპირების ხასიათს, რომლის გამოც ხალხი სტადიონზე დადის. ხალხის დანარჩენ ნაწილს არ აქვს არანაირი ემოციური დაინტერესება კლუბების თამაშის მიმართ.

- **როგორი ამოცანა უნდა ამოვხსნათ**

ჩვენი ამოცანაა, დავაინტერესოთ ქართველი მაყურებელი, მოვიდეს და უყუროს ქართული საფეხბურთო კლუბების თამაშებს სტადიონზე.

- **როგორ ამოვხსნათ ამოცანა**

- საყოველთაოდ ცნობილია ფაქტია, რომ ფეხბურთს ქმნიან ფეხბურთელები.
- საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია ისიც, რომ ერთი ფეხბურთელის მიმართ სიმპათიის გამო ხალხი მთლიანად გუნდს გულშემატკივრობს და თამაშებსაც აქტიურად ესწრება.
- იმის გამო, რომ ქართული ფეხბურთი როგორც მოვლენა, დიდი ავტორიტეტით ვერ სარგებლობს, ჩვენ გადავწყვიტეთ, უფრო პოპულარული გავხადოთ ქართველი ფეხბურთელები, გავაძლიეროთ თითოეული ქართველი გულშემატკივრის ემოციური კავშირი და ინტერესი თითოეული ქართველი ფეხბურთელის მიმართ. მოკლედ, შევუშვათ ფეხბურთი ფეხბურთელების საშუალებით გულშემატკივრების ცხოვრებაში.

- **და რა ვქნათ?**

- ჩვენი ამოცანის ამოსახსნელად ჩვენ ჩავუშვით კამპანია **#ფეხბურთიშენსცხოვრებაში**.
- კამპანიის ფარგლებში ჩვენ ყველა ქართველ გულშემატკივარს ვაძლევთ შანსს იყიდოს ნებისმიერი ფეხბურთელი მატჩის განმავლობაში და მასთან გაატაროს საღამო: მოაწყოს რომანტიკული ვახშამი ან ითამაშოს მასთან ერთად ფეხბურთი უბნის სტადიონზე.
- ყიდვა ხდება მატჩის განმავლობაში სპეციალური აპლიკაციის საშუალებით, რომელიც მხოლოდ სტადიონის პერიმეტრზე ფუქციონირებს. აუქციონის პრინციპზე აწყობილი აპლიკაციის საშუალებით თითოეული ფეხბურთელის ფასს უთითებს გულშემატკივარი. ყიდვა წყდება მატჩის ბოლოს, ხოლო

გოლის გატანის შემთხვევაში წინასწარ განსაზღვრული ნომინალით ფეხბურთელს ფასი ემატება. შესაბამისად, ფეხბურთელსაც აქვს მოტივაცია, გოლი გაიტანოს.

- **მოქმედება #1**

ვქმნით სპეციალურ ვებგვერდს www.footballinyourlife.ge, სადაც განთავსებული იქნება ამ ფეხბურთელების წინასწარი პრომოები, ინფორმაცია მათ შესახებ, რათა ვინც არ იცის, იმ გულშემატკივარმა უკეთ გაიცნოს თითოეული მათგანი.

- **მოქმედება #2**

ვანონსებთ აპლიკაციის შესახებ, ვქმნით პრომო მასალებს და აქტიურად ვითვისებთ სარეკლამო არხებს ინფორმაციის მაქსიმალურად გასავრცელებლად.

- **მოქმედება #3**

აქტიურად ხდება გამარჯვებულის გაშუქება მედია სივრცეში.

- **რას მივიღებთ**

- ის წინაპირობა, რომ ფეხბურთელის შეძენა მხოლოდ თამაშის დროს და უშუალოდ საფეხბურთო მოედანზე შეიძლება, უზრუნველყოფს ფეხბურთის მოედნის შევსებას.
- მისული გულშემატკივარი ისიამოვნებს ქართული ფეხბურთელების ოსტატური თამაშით და სხვა თამაშებზეც ივლის.
- რადგან აუქციონზე მონაწილე არცერთ ქართველს გული არ მოუთმენს, თავისი მიღწევა არ ამცნოს სამყაროს, დიდ აქტივობებს უნდა ველოდეთ სოციალ მედიაში და ამგვარ ამბებზე მონადირე ყვითელ პრესაში.